ტესტი გეოგრაფიაში

II ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის თითოეული დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტზე მუშაობისას გამოიყენეთ თანდართული რუკები.

<u>გაითვალისწინეთ, თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ.</u>

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 2 საათი და 40 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

- *კითხვა არჩევითი პასუხებით - დავალება № 1-18*

ინსტრუქცია

თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

(1) 1. ჩამოთვლილთაგან რა მასშტაბის რუკაზეა გამოსახული ტერიტორია უფრო დეტალურად?

ა) 1: 20 000

ბ) 1: 80 000

გ) 1: 200 000

დ) 1: 400 000

(1) 2. რომელი კუნძული მდებარეობს ეკვატორულ კლიმატურ სარტყელში?

ა) მადაგასკარი;

ბ) კუბა;

გ) კალიმანტანი;

დ) ტასმანია.

(1) 3. რა დიაპაზონში აითვლება აზიმუტი?

ა) 0°-დან 90°-მდე;

ბ) 0°-დან 180°-მდე;

გ) 0°-დან 270°-მდე;

დ) 0°-დან 360°-მდე.

(1) 4. რომელი ზღვის მონაცემებია მოცემული ცხრილში?

ზედაპირის ფართობი	≈2 500 000 კვ.კმ
კუნძულების რაოდენობა	≈3300
მაქსიმალური სიღრმე	≈5 267 მ
მაქსიმალური სიგრძე (მერიდიანზე)	≈1 600 კმ
მაქსიმალური სიგანე (პარალელზე)	≈3 700 კმ
ზედაპირული ფენის მარილიანობა	≈38 ‰

ა) შავი ზღვის;

ბ) ხმელთაშუა ზღვის;

გ) აზოვის ზღვის;

დ) წითელი ზღვის.

(1) 5. რომელი გრაფიკის მონაცემები შეესაბამება ს.გ. 04°19′54″ და ა.გ. 15°18′50″ გეოგრაფიულ კოორდინატებზე მდებარე ადგილს?

ა)



ბ)



გ)



დ)



(1) 6. რომელ წერტილში იქნება ატმოსფერული წნევა უფრო მაღალი?



ა) A

ბ) B

გ) C

დ) D

(1) 7. რომელ დასახლებულ პუნქტშია მზის ნათების ხანგრძლივობის უფრო დაბალი მაჩვენებელი?



ა) ამბროლაურში;

ბ) ტყიბულში;

გ) ცხინვალში;

დ) ბაკურიანში.

(1) 8. მთის ფერდობზე განლაგებულ მეტეოსადგურებზე ერთდროულად მიმდინარეობს დაკვირვება ჰაერის ტემპერატურაზე. რომელ ჩამონათვალშია დალაგებული მეტეოსადგურებში ივლისში დაფიქსირებული ჰაერის საშუალო ტემპერატურის მონაცემები კლების მიხედვით (მაღლიდან დაბლისკენ)?

მეტეოსადგურები (t◦C)	სიმაღლე, მეტრი ზღ.დ.
A (t◦C)	780
B (t◦C)	1560
C (t◦C)	1210
D (t◦C)	250

ა) B, C, A, D;

ბ) A, C, D, B;

გ) B, D, A, C;

დ) D, A, C, B.

(1) 9. რომელი გეოგრაფიული ობიექტი *<u>არ მოჩანს</u>* მოცემულ ილუსტრაციაზე?

ა) კ. სულავესი;

ბ) ბანდის ზღვა;

გ) კ. სუმატრა;

დ) იავის ზღვა.

(1) 10. რომელი *<u>არ არის</u>* ქარი?

ა) პასატი;

ბ) მეანდრი;

გ) ბრიზი;

დ) ტორნადო.

(1) 11. ჩამოთვლილთაგან რომელი რეგიონის მოსახლეობაა უფრო ნაკლები?



ა) იმერეთის;

ბ) აჭარის;

გ) ქვემო ქართლის;

დ) შიდა ქართლის.

(1) 12. რომელია ჩინეთის დემოგრაფიული პირამიდის ფრაგმენტი?



ა)



ბ)



გ)



დ)



(1) 13. რომელი სახელმწიფო მდებარეობს აფრიკის კონტინენტზე?

ა) ალჟირი;

ბ) ნეპალი;

გ) პარაგვაი;

დ) ჩრდილოეთი მაკედონია.

(1) 14. რომელ სახელმწიფოში არსებულ ვითარებას ასახავს ქვემოთ მოცემული წრეწიროვანი დიაგრამა?



ა) ალბანეთში;

ბ) საფრანგეთში;

გ) აზერბაიჯანში;

დ) ისლანდიაში.

(1) 15. ჩამოთვლილთაგან აშშ-ის რომელი შტატია მდიდარი ნავთობითა და ბუნებრივი აირით?

ა) ჯორჯია;

ბ) ალასკა;

გ) ნიუ-ჯერსი;

დ) მონტანა.

(1) 16. სად მდებარეობს სათბობ-ენერგეტიკული რესურსის საბადო?

ა) ლოპოტაში;

ბ) კაზრეთში;

გ) ტყვარჩელში;

დ) ბორჯომში.

(1) 17. რისი გამოთვლაა შესაძლებელი ქვეყნის შესახებ ცხრილში მოცემული ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში?

მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა
ინფლაციის მაჩვენებელი
მოსახლეობის რაოდენობა
მშპ ერთ სულ მოსახლეზე
დაბადებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობა
ტერიტორიის ფართობი

ა) მოსახლეობის სიმჭიდროვის;

ბ) ჰუმანური განვითარების ინდექსის;

გ) მიგრაციის სალდოს;

დ) პოლიტიკური გლობალიზაციის ინდექსის.

(1) 18. რა არის ნაჩვენები ფოტოზე?

ა) მურყვამები;

ბ) ფაცხები;

გ) დუროიანი სახლები;

დ) ბანიანი სახლები.

- *რუკის ანალიზი - დავალება № 19-20*

ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით დავალებებში მოცემულ რუკებს (კონტურული, ფიზიკური და ტოპოგრაფიული) და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი მონიშნეთ ან ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

(9) 19. გააანალიზეთ მოცემული რუკები / ინფორმაცია და მათზე დაყრდნობით უპასუხეთ კითხვებს:



გადასვლა დავალების მეორე გვერდზე, მესამე გვერდზე, მეოთხე გვერდზე, მეხუთე გვერდზე

ფოტო გადაღებულია

ერთ-ერთ ეროვნულ პარკში

გადასვლა დავალების პირველ გვერდზე, მესამე გვერდზე, მეოთხე გვერდზე, მეხუთე გვერდზე



აშშ-ის ეროვნული პარკები

გადასვლა დავალების

პირველ გვერდზე, მეორე გვერდზე,

მეოთხე გვერდზე, მეხუთე გვერდზე

1	აილ-როიალი	16	გრეიტ-ბეისინი	31	კატმაი	46	რედვუდი
2	აკადია	17	გრეიტ-სანდ-დიუნსი	32	კენაი-ფიორდსი	47	როკი-მაუნთინ
3	არჩესი	18	გრეიტს-სმოკი-მაუნტინსი	33	კინგს-კანიონი	48	საგუარო
4	ბიგ-ბენდი	19	გუადალუპე-მაუნტინსი	34	კობუკ-ვალი	49	სექვოია
5	ბისკეინი	20	დენალი	35	კონგარი	50	ტეოდორ-რუზველტი
6	ბრაის კანიონი	21	ჯოშუა-თრი	36	ლასენ-ვოლკანიკი	51	უინდ-კეივი
7	ბედლენდსი	22	სიკვდილის ხეობა	37	ლეიკ-კლარკი	52	ჰავაი-ვულკანოს
8	ვერჯინ-აილენდსი	23	დრაი-ტორტუგას	38	მამონტის მღვიმე	53	ჰალეაკალა
9	ვოიაჯერსი	24	ზაიონი	39	მაუნთინ-რეინირი	54	ჰოტ-სპრინგსი
10	ვრანგელისა და წმ. ილიას	25	იელოუსტოუნი	40	მესა-ვერდე	55	ჩანელ-აილენდსი
11	არქტიკის ჭიშკარი	26	იოსემიტე	41	ნორდ-კასკეიდსი	56	განისონის შავი კანიონი
12	გლეიშერი	27	კაიაჰოგა-ვალი	42	ამერიკის სამოა	57	შენანდოა
13	გლეიშერ-ბეი	28	კანიონლენდსი	43	კრეიტერის ტბა	58	ევერგლეიდსი
14	გრანდ-კანიონი	29	კაპიტოლ-რიფი	44	ოლიმპიკის		
15	გრანდ-ტიტონი	30	კარლსბადის მღვიმეთა	45	პეტრიფაიდ-ფორესტი		

გადასვლა დავალების პირველ გვერდზე, მეორე გვერდზე, მესამე გვერდზე, მეხუთე გვერდზე

(1) 19.1. ჩამოთვლილთაგან რომელ შტატს *არ აქვს* გასასვლელი ატლანტის ოკეანეზე?

ა) ჯორჯიის; ბ) ჰავაის; გ) მასაჩუსეტსის; დ) ფლორიდის.

(1) 19.2. ჩამოთვლილთაგან რომელ შტატში *არ მოიპოვება* ოქრო?

ა) იუტას; ბ) ალასკის; გ) მიჩიგანის; დ) ნევადას.

(2) 19.3. დაასახელეთ აშშ-ის უმაღლესი მწვერვალი და შტატი რომელშიც იგი მდებარეობს?

(1) 19.4. აშშ-ის რომელ შტატშია დაცული არქტიკული ლანდშაფტები?

(2) 19.5. რომელი მცენარის ტყის კორომია გამოსახული ფოტოზე და აშშ-ის რომელ ეროვნულ პარკშია დაცული იგი?

(2) 19.6. რომელი მინერალური რესურსების სიმდიდრით გამოირჩევა აშშ-ის მექსიკის ყურის რეგიონი და დაასახელეთ რომელი ტიპის სასარგებლო წიაღისეულის ჯგუფში ერთიანდებიან ისინი?

გადასვლა დავალების პირველ გვერდზე, მეორე გვერდზე, მესამე გვერდზე, მეოთხე გვერდზე

(6) 20. თანდართული ტოპოგრაფიული რუკის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

(1) 20.1. დაახლოებით რამდენი მეტრია მ. კოპალას აბსოლუტური სიმაღლე?

ა) 148,7 მ; ბ) 153,2 მ; გ) 160,6 მ; დ) 165,9 მ.

(1) 20.2. დაახლოებით რა აზიმუტით მდებარეობს მ. ჟომადან ლურჯ ტბაში არსებული კუნძული?

ა) 87^0

ბ) 127^0

გ) 195^0

დ) 288^0

(2) 20.3. რუკაზე ნაჩვენები ტყეებიდან რომელია ფოთლოვანი და რა მიმართულებით მდებარეობს იგი ტბა ლურჯიდან?

(2) 20.4. დაასახელეთ ორი მიზეზი, რის გამოც რუკაზე დატანილი (ბ) ნაკვეთი (ა) ნაკვეთთან შედარებით უფრო მეწყერსაშიშადაა მიჩნეული.


ცისფას ტყე
ზენარის ტყე
კოპალას ტყე
მდ. ცისფა
მ. კოპალა
ბხავთა
ლურჯი ტბა
მდ. თეთრა
ჩანგის ტყე
ფეჯოლს ქარხანა
მ. მელოტა
1
2

რელიეფი

ძირითადი ჰორიზონტალები გავლებულია ყოველ 2,5 მეტრში



ა) ძირითადი ჰორიზონტალები
ბ) ძირითადი გამსხვილებული ჰორიზონტალები
გ) დამატებითი ჰორიზონტალები (ნახევრადჰორიზონტალები)
დ) ჰორიზონტალების სიმაღლის ნიშნულები მ-ში
ე) კალთის დახრის მაჩვენებლები (ბერგშტრიხები)



213,8 · 212,8 — სიმაღლის ნიშნულები ა) ძირითადი ბ) ჩვეულებრივი



111,9 170,0 — სიმაღლის ნიშნულები ორიენტირებით

ა) ცალკე მდგომი ქვები
ბ) ქვათაგროვა



ყორდანები
ორმოები



ფლატე (ბექი) (16-ხრამის სიღრმე მ-ში)

ხრამები და ღარტაფები

მცენარეული საფარი და ბრუნტი



ნად. 20/0,20 6 — წიწვოვანი ტყე

არყ. — ფართოფოთლოვანი ტყე



ნად. არყ. — შერეული ტყე

ხემცენარეების მახასიათებლები მ-ში: 20-საშუალო სიმაღლე, 0.20-მერქნის საშუალო სისქე, 6-ხეებს შორის საშუალო მანძილი



ტყის ვიწრო ზოლები და დაცვითი ტყის ნარგავები (2- ხეების საშუალო სიმაღლე მ-ში)



ცალკეული კორომები



ორიენტირის მნიშვნელობის მქონე ცალკე მდგომი ხეები: ა) წიწვოვანი ბ) ფართოფოთლოვანი



ახალგაზრდა წიწვოვანი (წვრილნაზარდი) ტყე
ახალი ტყის ნარგავების სიმაღლე 4 მ-მდე (2- ხეების საშუალო სიმაღლე მ-ში)



ა) ქარქცეული ტყე ბ) მეჩხერი ტყე



ა) გაჩეხილი ტყე ბ) გადამწვარი და ძირზემხმარი ხეები



4 — განაჩეხი ტყეში
4 განაჩეხის სიგანე მ-ში



ბუჩქნარი ა) ცალკე მდგომი ბუჩქები და ბუჩქების დაჯგუფებები; ბ) ხშირი ბუჩქნარი

ა) მდელოს მცენარეულობა
ბ) ლელქაშის და ლერწმის ტიპის საფარი

ხეხილის ბაღი



ქვიშარი



0,7 — გაუვალი და ძნელადგასავლელი ჭაობები (0.7-ჭაობის სიღრმე მ-ში)



ადვილადგასავლელი ჭაობები

საგზაო ქსელი

ორლიანდაგიანი რკინიგზა, სადგურები

ერთლიანდაგიანი რკინიგზა
ბაქნები, გზაგასაყარები



მიწაყრილებზე (ა) და ჩაღრმავებებში (ბ) გაყვანილი რკინიგზები (2-სიმაღლე ან სიღრმე მ-ში)



ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა

13(17) — გაუმჯობესებული გზატკეცილი (13-დაგებული საფარის სიგანე, 17-მთელი გზის სიგანე სანიაღვრეებს შორის მ-ში. ა-საფარის სახეობა) (ა-ასფალტი, ქფ-ქვაფენილი)

გზატკეცილი
გაუმჯობესებული გრუნტის გზები გასწვრივი მცენარეული ნარგავებით







დასახლებული პუნქტები და მათი წარწერები

ცალკეული შენობა-ნაგებობები

საცხოვრებელი და სხვა ტიპის ნაგებობები

კვარტლები

ცეცხლგამძლე ნაგებობების სიჭარბით

არაცეცხლგამძლე ნაგებობების სიჭარბით

ბომბ

ქალაქები - 2000-დან 10 000-მდე მცხოვრებით

<u>ახალდაბა</u>

დაბები - 2000-ზე ნაკლები მცხოვრებით

ცაცხვანა

<u>ნაკეთი</u>

სოფლები 20-დან 1000-მდე სახლების რაოდენობით

სოფლები 20-ზე ნაკლები სახლით

ცალკეული ადგილობრივი ნაგებობები

ფქ — ქარხნები და ფაბრიკები

ქარის წისქვილები

საფუტკრეები

ანძის ტიპის ნაგებობები

მეტყევის სახლები

ტელევიზორო სადგურები

მეტეოროლოგიური სადგურები

ჰიდროგრაფია

მდინარეები, ნაკადულები, ტბები

შრობადი ნაკადები

წყლის კიდის ნიშნულები

ისრები უჩვენებენ მდინარის დინების მიმართულებას (0.4-დინების სიჩქარე მ/წმ)

მდინარეების მახასიათებლები: 285-სიგანე და 4.8 სიღრმე მ-ში; ქ - ფსკერის გრუნტის ტიპი

ფონები და მათი მახასიათებლები: 0.5 სიღრმე და 17 სიგრძე მ-ში, ქ-ფსკერის გრუნტის ტიპი, 0.1 - დინების სიჩქარე მ/წმ

ბორნები: 285 - მდინარის სიგანე, 5X4-ბორნის ზომები მეტრებში, 5 - ტვირთამწეობა ტონებში

ხის ხიდები
რკინის ხიდები
ქვის და რკინაბეტონის ხიდები

ხიდების მახასიათებლები: ქვა-სამშენებლო მასალა, 8 სიმაღლე წყლის დონიდან, 170 - ხიდის სიგრძე, 8 -საავალი ნაწილის სიგანე მ–ში, 50 - ტვირთამწეობა ტონებში

სანაპირო სამდინარო სიგნალიზაციის
მუდმივი ნიშნულები
ნავსაყუდელი
კაშხლები

ჭები

ქარის ძრავიანი ჭები

წყაროები

სახელმწიფო გეოდეზიური ქსელის პუნქტები
იგივე ნიშნულები ყორდანებზე

ტოპოგრაფიულ რუკაზე მიღებული შემოკლებები

ა	ასფალტი	აქ	აგურის ქარხანა
ჯ	ჯიხური	ფქ	ფქვილის ქარხანა
რქ.	რიყის ქვა	ტბრ	ტბორი
არყ.	არყის ხე	პრ.	პროექტორის ანძა
ფიჭ.	ფიჭვის ხე	წ	წყარო
ნად.	ნაძვის ხე	სს	სასოფლო საკრებულო
წსნ.	წყალსაქაჩი	მე	მყარი
თიხ	თიხა	კრამ.	კრამიტის ქარხანა
სგ	საორიენტა-ციო ჭა	სკ.	სკოლა
		ლ.	ლამი
ყაზ.	ყაზარმა	ნახ	ქვანახშირი

ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით დავალებაში მოცემულ ინფორმაციას და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი მონიშნეთ ან ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

(1) 21. რომელი სახელმწიფოს დროშა აღიმართა პირველად სამხრეთ პოლუსზე?

(1) 22. რუკების გამოყენებით ახსენით ავსტრალიაში ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი დადებითია, თუ უარყოფითი?





(1) 23. ახსენით, რა გავლენა იქონია ტორდესილიასის ხელშეკრულებამ მსოფლიო პოლიტიკური რუკის ფორმირებაზე XVI-XVII სს-ში.

სადემარკაციო ხაზები, რის მიხედვითაც განისაზღვრა ესპანელთა და პორტუგალიელთა ექსპანსიის მიმართულებები მსოფლიოში.



(2) 24. გააანალიზეთ რუკა და უპასუხეთ კითხვებს:



(1) 24.1. რომელ მდინარეზე მდებარეობს ნასერის წყალსაცავი?

(1) 24.2. განსაზღვრეთ ნასერის წყალსაცავზე აღნიშნული A წერტილის გეოგრაფიული კოორდინატები.

(2) 25. გააანალიზეთ საქართველოს სტატისტიკური მაჩვენებლები და უპასუხეთ კითხვებს:

	2015	2016	2017	2018
მოსახლეობის რიცხოვნობა 1 იანვრის მდგომარეობით (კაცი)	3 721 900	3 728 600	3 726 400	3 729 600
ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა (კაცი)	59 249	56 569	53 293	51 138
გარდაცვლილთა რიცხოვნობა (კაცი)	49 121	50 771	47 822	46 524
იმიგრანტთა რიცხოვნობა (კაცი)	92 557	90 228	83 239	88 152
ემიგრანტთა რიცხოვნობა (კაცი)	95 965	98 288	85 451	98 350

(1) 25.1. რომელ წელს იყო უფრო მაღალი ბუნებრივი მატების მაჩვენებელი?

(1) 25.2. რომელ წელს გადააჭარბა მიგრაციის სალდოს უარყოფითმა მაჩვენებელმა 10 000 კაცს?

(3) 26. გააანალიზეთ ილუსტრაციები და უპასუხეთ კითხვებს:



მოქცევითი ტალღის
დიაპაზონი მეტრებში

გადასვლა დავალების მეორე გვერდზე

(1) 26.1. რა მოვლენას ასახავს დავალებაში მოცემული ილუსტრაციები?

(1) 26.2. დაასახელეთ სპორტის რომელი სახეობის მოყვარულებს იზიდავს ფოტოზე ასახული მოვლენა?

(1) 26.3. რატომ ამჯობინებენ სპორტის ამ სახეობის მოყვარულები მდ. ამაზონზე მოხვედრას მარტისა და სექტემბრის თვეებში?

გადასვლა დავალების პირველ გვერდზე

(3) 27. გააანალიზეთ საქართველოს დემოგრაფიული მონაცემები და უპასუხეთ კითხვებს:





დიაგრამა 1.

დიაგრამა 2.

ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი ‰			
1994	2002	2014	2020
1.5	-0.6	3.1	0.5

(2) 27.1. რა დემოგრაფიული მაჩვენებელია მოცემული დიაგრამა 1-ზე და დიაგრამა 2-ზე?

(1) 27.2. რამდენ მოსახლეზეა გაანგარიშებული დავალებაში მოცემული დემოგრაფიული მაჩვენებლები?

(6) 28. გააანალიზეთ ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:

წყარო https://www.theglobaleconomy.com/ (2019 წ.)	საქართველო	აზერბაიჯანი	რუსეთი	უკრაინა
ჯანდაცვის ხარჯები ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	308.03	268.16	469.13	141.19
ჯანდაცვის პროცენტული ხარჯი მშპ-ში	8.44	6.89	5.27	6.73
ქალაქის მოსახლეობის პროცენტული წილი მთლიან მოსახლეობაში	58.63	55.68	74.43	69.35
ქალთა პროცენტული წილი მთლიან მოსახლეობაში	52.29	50.12	53.66	53.69
0-14 ასაკის მოსახლეობის პროცენტული წილი მთლიან მოსახლეობაში	19.8	23.37	17.91	15.81
მოკლევადიანი პოლიტიკური რისკი[1]	1	3	3	5
გრძელვადიანი პოლიტიკური რისკი[1]	6	5	4	7
ექსპროპრიაციის (ქონების ჩამორთმევის) რისკი[1]	3	4	5	4
სამხედრო რისკი[1]	5	5	4	6
65 წელს გადაცილებული მოსახლეობის პროცენტული წილი მთლიან მოსახლეობაში	14.87	6.2	14.37	16.43
სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა	73.41	72.69	72.12	71.78
ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა 100 ადამიანზე	63.97	79.8	80.86	58.89
ავიამგზავრების რაოდენობა შიდა ავიახაზებზე (მლნ.კაცი)	0.52	2.28	99.33	7.85

[1] რისკების შეფასება 1 - დაბალი; 7 - მაღალი

გადასვლა დავალების მეორე გვერდზე

(1) 28.1. რომელ სახელმწიფოშია ურბანიზაციის უფრო მაღალი მაჩვენებელი?

(1) 28.2. ახსენით, რატომ არის რუსეთში ომის რისკის ალბათობა უფრო დაბალი ქულით შეფასებული დანაჩენ სამ სახელმწიფოსთან შედარებით.

(2) 28.3. რომელი სახელმწიფოს მოსახლეობაა უფრო ახალგაზრდა? პასუხი დაასაბუთეთ.

(2) 28.4. რომელი სახელმწიფოა საბაზრო ეკონომიკის თვალსაზრისით უფრო დაბალ რისკიანი? პასუხი დაასაბუთეთ.

გადასვლა დავალების პირველ გვერდზე

(8) 29. გააანალიზეთ ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:

კახეთი

კახეთი საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. მისი ფართობი 11375 კმ^2-ია. მოსახლეობის სიმჭიდროვე 2020 წლის მონაცემებით - 26,28 კაცი/კმ^2. მოსახლეობის 85% ქართველია, 10 % აზერბაიჯანელი, დანარჩენი სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები არიან. კახეთში 285 დასახლებული პუნქტია.

კახეთი სასოფლო-სამეურნეო რეგიონია, მრეწველობა შედარებით სუსტად არის განვითარებული, რაც გავლენას ახდენს ურბანიზაციის დონეზე. კახეთი ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო მიწების სიუხვით გამოირჩევა. სოფლის ერთ მცხოვრებზე ქვეყანაში საშუალოდ 1,1 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული მოდის, კახეთში ეს მაჩვენებელი 1,4 ჰა-ია. ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების გამო მხარეში განვითარებულია მევენახეობა-მეღვინეობა და მეცხვარეობა. რეგიონი ასევე საქართველოს პურის ბეღლად ითვლება. კახეთის სოფლის მეურნეობა ყოველთვის წყლის ნაკლებობას განიცდიდა.

მხარეში განსაკუთრებული ადგილი უკავია დაცულ ტერიტორიებსა და ნაკრძალებს. კურორტები ცოტაა, მათ შორის გამოირჩევა ახტალა.

გადასვლა დიაგრამაზე კითხვებზე



გადასვლა ტექსტზე კითხვებზე

(1) 29.1. კახეთისთვის რა მონაცემია გამოთვლილი 2020 წლისთვის 11375*26,28 =298935 კაცი.

ა) მიგრაციული სალდოს აბსოლუტური მაჩვენებელი;
ბ) ქართველების რაოდენობა რეგიონის მოსახლეობაში;
გ) რეგიონის მოსახლეობის რიცხოვნობა;
დ) ბუნებრივი მოძრაობის აბსოლუტური მაჩვენებელი.

(1) 29.2. რომელია კახეთის მხარის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი?

ა) მეციტრუსეობა; ბ) მეჩაიეობა; გ) მევენახეობა; დ) მეკარტოფილეობა.

(1) 29.3. გამოიანგარიშეთ ბოლო ორ აღწერათშორის პერიოდში რამდენი პროცენტით შემცირდა თელავის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობა (აუცილებლად აჩვენეთ გამოთვლის პროცესი).

(2) 29.4. საქართველოს რომელ სამხარეო ერთეულებთან აქვს საზღვარი კახეთის რეგიონს?

(1) 29.5. დაასახელეთ მიზეზი, რის გამოც კახეთში დაბალია ურბანიზაციის დონე.

(2) 29.6. დაასახელეთ ორი ეროვნული პარკი, რომელიც მთლიანად კახეთის მხარის ფარგლებშია მოქცეული.

გადასვლა ტექსტზე დიაგრამაზე